

კლასის მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება თბილისის 55-ე საჯარო სკოლაში

ნინო ედიბერიძე, ანი დემეტრაშვილი, ქეთევან გელუტაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი მიმოიხილავს 55-ე საჯარო სკოლაში კლასის მართვის საკითხთან დაკავშირებული პრაქტიკული კვლევის პროცესსა და ძირითად შედეგებს.

კვლევის საბოლოო მიზანი იყო სამიზნე სკოლაში კლასის მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება. წინასწარი მოკვლევის საფუძველზე სამიზნე სკოლის საზოგადოებასთან თანამშრომლობით დასახულ სპეციფიურ პრაქტიკულ ამოცანებს წარმოადგენდა: 1) კლასში ქცევის წესებსა და ღირებულებებზე საერთო შეთანხმების მიღწევა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის; 2) სასწავლო პროცესის მოსწავლეთა მიერ შეფასება და მასწავლებელთა თვითშეფასების სისტემის შემუშავება და პილოტირება; და 3) პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებისთვის და ინტერაქტიული სწავლა-სწავლების პროცესის შესაქმნელად.

ინტერვენციების შეფასების შედეგების თანახმად, სამიზნე კლასში შემცირდა მობილურების გამოყენება, დაგვიანება გაკვეთილებზე, გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და გაუმჯობესდა ზოგადი დისციპლინა.

პრაქტიკული კვლევის სხვადასხვა ეტაპზე ჩამოყალიბებული მიგნებები და რეკომენდაციები საინტერესო ინფორმაციას შეიცავს არა მხოლოდ სამიზნე სკოლისათვის, არამედ ანალოგიური პრობლემების მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კლასის მართვის პრაქტიკის გაუმჯობესების სტრატეგიებზე სამუშაოდ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პრაქტიკული კვლევა, კლასის მართვა, კლასის წესები, მოსწავლეთა უკუკავშირი, პროექტი.